



თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის

პროგრამული დანართი

**პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები**

შესავალი----- 3

ინფრასტრუქტურის განვითარება -----3

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა შენახვა 4

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ----- 5

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -----6

კომუნალური მეურნეობის განვითარება-----7

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -----7

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა-----8

დასუფთავება და გარემოს დაცვა -----9

დასუფთავება და კეთილმოწყობა -----9

განათლება -----10

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა -----11

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები-----12

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა -----14

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება-----15

სკოლისგარეშე განათლება -----15

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი -----16

სპორტული ღონისძიებები -----17

სპორტული სკოლა -----18

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -----19

სახელოვნებო სკოლები -----19

ბიბლიოთეკები -----20

კულტურის სახლები -----21

მუზეუმები -----22

ახალგაზრდული პროგრამები-----23

რელიგიური ორგანიზაცია -----23

საგამომცემლო საქმიანობა -----24

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -----24

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება -----25

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია -----26

სოციალური დაცვა -----27

მმართველობა და საერთო დანიშნულება-----29

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს, თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდა 2020 წლიდან. შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეიცვალა პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ, ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული.

პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მუცემულია თერჯოლის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოადგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2024 წელს. შემდგომ წლებში, ისევე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმ და დასაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

### ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10241,3	9617,6	5 177,0	5 814,0	6 417,0
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	3855,0	5676,7	2 127,0	2 244,0	2 567,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1737,7	511,0	540,0	640,0	840,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	464,4	470,0	550,0	570,0	600,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3123,2	1819,9	1 500,0	1 900,0	1 950,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	740,0	780,0	10,0	10,0	10,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	321,0	360,0	450,0	450,0	450,0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	დაფინანსება	
			2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
	02 01		5676,7	6938,0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ინტენსიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას.</p> <p>სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.</p> <p>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება: სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 191,7 ათასი ლარით.ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაცია 95,0 ათასი ლარით. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მოწყობა 300,0 ათასი ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით.სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში გზის რეაბილიტაცია 200,0 ათასი ლარით. სოფ. ზედა სიმონეთში აბჯანდამეხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. ჩხარში სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. ბარდუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით.სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში მემანთვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში ჯაბიძის მეორე შესახვევში გზის რეაბილიტაცია 190,0 ათასი ლარით. სოფ. საზანოში ჩიხორი შიშხილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით და სოფ. 26 მასის საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით</p>			

მოსალოდნელი შედეგი	ქ. თერჯოლაში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2024 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ თერჯოლის და სოფლების მოსახლეობა.					
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	რეაბილიტირებული გზები 14000გრ/მ დაპროფილდა 319530გრ/მ,	14000გრ/მ 350000გრ/მ	15000გრ/მ 370000გრ/მ	კლიმატური პირობები, კონტრაქტორის მიერ არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო, ახალი გარემოებები, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული	
	2	შეკეთდა ხიდი ბოგირი ბოგირი	14 142270 მ/3	18 150000მ/3	კლიმატური პირობები, კონტრაქტორის მიერ არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო, ახალი გარემოებები, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული	

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება	
			2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
	02 02		511,0	2020,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	<p>ბოლო 10 წლის განმავლობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს წყლის სისტემების სამშენებლო სამუშაოები, მოსახლეობის ტ/ წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. ასევე ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.</li> </ul> <p>შინაარსის ტიპის მიხედვით წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული წყლის სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.</p> <p>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება სოფ.ძევერში კალატოზები ვერულაშვილების უბანში წყლის სისტემის მოწყობა 171,0 ათასი ლარით.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის უწყვეტი ტ/წყალმომარაგება. უწყვეტი წყალმომარაგებით მოსარგებლე ოჯახების ზრდა.			

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მუდმივი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახები 5458	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახი 75000	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
	2	წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს	წყლის ხარისხის ნორმების დაცვა	წყლის ხარისხის ნორმების დაცვა	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	დაფინანსება	
			2024 წელი ათას ლარში	2025-2027 წელი ათას ლარში
	02 03		470.0	1720.0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური. ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 40%. გარე განათების სისტემა მოიცავს 5251-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 5300-ზე მეტ სანათ წერტილს, 6700 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; რეაბილიტაციას</li> <li>- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2024 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად. ფეხით-მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს			



გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება					
	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	განათებული ტერიტორია	გარე განათების ლამპიონი 5300 ცალი 5400 ბოძი	5300	10%	
	2	შეკეთებული სადენების რაოდენობის ზრდა	2023 წელში შეიცვალა 24800 გრძივი მეტრი	2024 წელში შეიცვლება 25000 გრძივი მეტრი	5%	ქსელი საჭიროებს მეტის სადენის შეცვლას.

პროგრამის დასახელება	კოდი	კომუნალური მეურნეობის განვითარება	დაფინანსება	
	02 04		2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
			1819,9	5350.0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.</p> <p>ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.</p> <p>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები 169,9 ათასი ლარით და ქ.თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია 295,4 ათასი ლარით.</p> <p>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1840 განკარგულებით დაფინანსდება ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი 138,5 ათასი ლარით (თერჯოლაში ყოფილი კინოთეატრის დემონტაჟი).</p> <p>2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძეგრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარე არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 94,1 ათასი ლარით</p> <p>საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 970.0 ათასი ლარი, რომლიდანაც მიმდინარე წელს დაიხარჯება 294,5 ათასი ლარი.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება.			

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	2	4	30%	
	2	ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამართული ინფრასტრუქტურის მქონე ადმინისტრაციული შენობები	3	4	30%	

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა				დაფინანსება	
	02 05					2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
						780,0	30,0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.						
პროგრამის აღწერა	სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილი დაფინანსებიდან განხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტების დაფინანსება. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით გამოყოფილია დაფინანსება 690.0 ათასი ლარი.						
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა სოფლად						
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება						
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება	
	1						
	2						

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება				დაფინანსება	
	02 06					2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
						360,0	1 350,0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.						



პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).</p>					
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2023წელს გაკეთდა 14 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2024 წელს გაკეთდება 12 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	10% - დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალური ტრანსფერის მოცულობაზე	
	2	პროექტები, რომელთა სამუშაოების მიმდინარეობას გაეწია ზედამხედველობა	13 პროექტი	15 პროექტი		

### დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3629,3	3500,0	3 700,0	3 900,0	4 200,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3629,3	3500,0	3 700,0	3 900,0	4 200,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და კეთილმოწყობა	დაფინანსება	
			2024 წელი ათას ლარში	2025-2027 წელი ათას ლარში
			03 01	3500,0

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა: ქუჩების , მოედნების , სკვერების,შენობების საზოგადოებრივი ადგილების დარგვა-დასუფთავება,საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ზოგიერების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა.წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასუფთავებული ტერიტორია,მუნიციპალიტეტის იერ- სახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი: SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება  
SDG 6. სუფთა წყალი და სანიტარია

მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა	არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 18643კგ ნარჩენი	მეტი მოცულობით გაგრძელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად სამ 20000 კგ. ნარჩენების გატანა	10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლები ს მიხედვით	გატანილი ნარჩენის მოცულობების სიდიდე დაკავშირებული იქნება წლის სეზონურ პერიოდთან
	2	მოვლა-პატრონობაში არსებული სკვერების რაოდენობა	6	6		
	3	ურნების რაოდენობის ზრდა	651	691		

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

*ათას ლარში*

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა
04 00	განათლება	8137,8	7158,8	5 835,0	6 270,0	6 760,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4874,2	5165,0	5 420,0	5 820,0	6 265,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	145,2	165,0	170,0	185,0	205,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	4729	5000,0	5 250,0	5 635,0	6 060,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 197,4	10,0	10,0	10,0	10,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1711,3	1603,8	5,0	5,0	5,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	354,9	380,0	400,0	435,0	480,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	დაფინანსება	
			2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
	04 01 01		165.0	560.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,			
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.			

მოსალოდნელი შედეგი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.					
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 4. ხარისხიანი განათლება					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	პროგრამის ხარისხის სტანდარტის დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ხარისხის სტანდარტი. კერძოდ, უსაფრთხოება და დაცულობა, კურიკულიუმი და მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, ურთიერთობა, საგანმანათლებლო პროცესი, ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის პროგრამის ხარისხის სტანდარტი უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მალეებში. კერძოდ, ფიზიკური გარემო შექმნილია ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მკაფიოდაა გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების საჭიროების თუ სხვა შემთხვევებში. ბაგა-ბალებს გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების მექანიზმები. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები. თითოეულ ბავშვს აქვს დასვენებისა და ძილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. დაწესებულებაში აღმზრდელ პედაგოგები ხელმძღვანელობენ თამაშზე დაფუძნებული კურიკულიუმით. გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის.	10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას) და ბაგა-ბალები სტანდარტის შესაბამისი რესურსებით აღჭურვას.	
	2					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	დაფინანსება	
	04 01 02		2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,		5000.0	16945.0

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება, ხოლო 200 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 საამღზრდელო ჯგუფი, 500 თანამშრომლით. მათ შორის 81 აღმზრდელია და 94 აღმზრდელის თანაშემწე.</p> <p>(ა)იპის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 2024 წლისათვის იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში დახვეწილი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა, დახვეწას: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.</p>					
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ჰარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები</p>					
<p>გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი</p>	<p>SDG 4. ხარისხიანი განათლება</p>					
<p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>ინდიკატორის აღწერა</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</p>	<p>განმარტება</p>
	<p>1</p>	<p>აღსაზრდელთა რაოდენობა</p>	<p>1069</p>	<p>1300</p>	<p>5%</p>	
	<p>2</p>	<p>კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად კერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვებასთან ერთად 3 წახემსებას (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის („დილის“), მეორე სადილსა და ვახშამს შორის („შუადღის“), მესამე – ვახშმის შემდეგ).</p>	<p>გაუმჯობესებულია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს</p>	<p>10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებული და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას);</p>	

	3	ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილი. აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მაღებში. კერძოდ, სტანდარტის II და III ნაწილებით განსაზღვრულ კონტიგენტზე ბავშვების განვითარებასთან (აღზრდა-განათლების) ერთად მეტი ყურადღება ეთმობა თემატურ მიმართულებებზე მუშაობას, მათ შორის: ხელოვნებას, წიგნიერებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.	30% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და საადმინისტრაციო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას)
--	---	--	--	--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება			
			2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში		
			10,0	30,0		
პროგრამის განმახორციელებელი	04 02	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.				
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა.					
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა					
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება SDG 4. ხარისხიანი განათლება					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება



	1	აშენებული / რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	1	1		
	2					

პროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.					დაფინანსება	
							2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
	04 03						1603,8	15.0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.							
პროგრამის აღწერა	ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.							
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და მოწესრიგებული სველი წერტილები.							
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება SDG 4. ხარისხიანი განათლება							
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება		
	1	მოწესრიგებული სკოლები, მოწესრიგებული სტადიონები, მოწესრიგებული საპირფარეშოები.	სხვადასხვა ხასიათის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლას	2024 წელში სკოლებში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ჩატარებს განათლების სამინისტრო.	10%			
	2							

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლება					დაფინანსება	
							2024 წელი ათას ლარში	2025--2027 წელი ათას ლარში
	04 04						380,0	900,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა ( ა ) იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი							

პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნქციონირების პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება, პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე 2022-23 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და წრე. სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებული იყო „ცენტრში“ მოსწავლეთა ჩართულობის 20% ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე, რასაც „ცენტრმა“ წარმატებით გაართვა თავი, მოსწავლეთა რაოდენობა- 650, სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. ეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „ცენტრის“ მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო, კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც, წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით, სიგელებით 200, ფასიანი საჩუქრებით (წიგნები) დაჯილდოვდა 40 მოსწავლე.</p>																								
მოსალოდნელი შედეგი	<p>თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი აქტივობების შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის, პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბაზისო ცოდნის მიწოდება და საზოგადოებაში ინტეგრირების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.</p>																								
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი	<p>SDG 4. ხარისხიანი განათლება SDG 5. გენდერული თანასწორობა</p>																								
